



MES 8 20 0001236540



28/12/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 21 დეკემბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82415162102?pwd=Zkw0TkhnVFZXCno3UjFjbklQaWhhQT09>

Meeting ID: 824 1516 2102

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

ნატო ქიტიაშვილი - სს „საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

ნოდარ მამინაიშვილი - ააიპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ „მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში,ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

გიორგი ტრაპაძე - სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“

გიორგი გოგიტიძე - დირექტორი

ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ზაირა ბერიძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ციური დურული- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

ნინო მაზმიშვილი- პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“

გივი ღვანია - დირექტორის მოადგილე

ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვახტანგ ბოგველიშვილი

ალექსანდრე კეკენაძე

ნანა შათირიშვილი

ზაირა ბერიძე

ბარბარე გონაშვილი

იაზონ დანელია

ნატო ალავიძე

ნაზო წიბლიაშვილი

დავით კუპატაძე

ნინო მოწყობილი

საბჭოს სხდომა დაიწყო - 14:02 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „სასტუმრო მომსახურება“ და „კონდიტერია“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „ფაზისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „სასტუმრო მომსახურება“ და „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, სასტუმრო მომსახურება“ და „კონდიტერია“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვახტანგ ბოგველიშვილმა, რომელმაც განახორციელა დისტანციური მონიტორინგი დარგის ექსპერტ ალექსანდრე კეკენაძესთან ერთად. სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1067139 04/11/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯი „ბლექის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**კომპიუტერული ქსელი და სისტემები**“ მონიტორინგი.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ჯგუფს დაევალა 2.2.1 კომპონენტის - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - შესაბამისობის შემოწმება.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო **1 რეკომენდაცია, კერძოდ**, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მატერიალური რესურსი არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი, რაც დასტურდებოდა, როგორც მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ექსპერტების მიერ ფიზიკური დათვალიერებით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოეხდინა რესურსების სრული მობილიზება. მონიტორინგის ფარგლებში მოხდა მატერიალური რესურსების დათვალიერება, რამაც აჩვენა, რომ რეკომენდაცია სრულად შესრულებულია.

ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში განახორციელა დისტანციური ჩართვა დაწესებულების დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან. ასევე, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებსა და მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს.

ექსპერტმა ისაუბრა სსიპ - კოლეჯი „ბლექის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**კომპიუტერული ქსელი და სისტემების**“ **საუკეთესო გამოცდილებაზე**. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ეფექტურად ადაპტირდა არსებულ გამოწვევებთან. ვიზიტისას ექსპერტებმა იხილეს გარკვეული მოწყობილობები, რომლებიც ხელს უწყობს მიღებული რეკომენდაციების შესრულებას და სტანდარტების დაცვას. კოლეჯში შეცვლილია სამუშაო მაგიდების განლაგება. ასევე, კოლეჯს შესყიდული აქვს სპეციალური, გამჭირვალე მინის ტიხრები, რომელიც უზრუნველყოფს დისტანციის დაცვას, რაც მნიშვნელოვანია შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე, დამატებით აქვს შეძენილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები - დამცავი სათვალეები, რომელიც კონკრეტულად ამ პროგრამის განხორციელებას შეეხება. აქვე ექსპერტმა დასძინა, რომ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც (მაგ. „კონდიტერია“) დაწესებულებას დამატებით აქვს შეძენილი ავეჯი.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე 4 პროფესიულ სტუდენტს, რომელთაც არ ჰქონდათ ონლაინ ლექცებში ჩართვის შესაძლებლობა, კომპიუტერული ტექნიკის არქონის გამო, კოლეჯმა დროებით სარგებლობაში გადასცა ტექნიკა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა კოლეჯში მობილიზებული სასწავლო რესურსების და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი სრულად ადაპტირდა შექმნილ ვითარებასთან. დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეძენილი აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი და გაცემული რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული. ასევე აღნიშნა, რომ უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე დაწესებულებამ გამოყო დამატებითი ფინანსები და შეიძინა დამატებითი აღჭურვილობა, რათა სასწავლო რესურსი ყოფილიყო ინდივიდუალური მოხმარების.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია, მოტივაცია და სიახლეების დანერგვისა და ადაპტირების უნარი, რაც დადებითად იქნა შეფასებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

დარგის ექსპერტმა ასევე ისაუბრა დისტანციურ სწავლებაზე და აღნიშნა, რომ სამომავლოდ შესაძლებელია სწავლება შერეული მოდელით განხორციელდეს. მისი აზრით, ეს გაზრდის ჩართულობას და ბევრ პოტენციურ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს განათლება. მან აღნიშნა, რომ კომპიუტერული მიმართულებით ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი დისტანციურად.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა აღნიშნულზე კომენტარი და საბჭოს მოახსენა, რომ სამინისტრომ, პროფესიული დაწესებულებებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით მოახდინა იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელებაც დისტანციურადაა შესაძლებელი და აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ეტაპობრივად მოდის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნა დარგობრივი საბჭოები, რომელებიც განიხილავენ ჩარჩო-დოკუმენტებს და მისცემს დასტურს თითოეული პროგრამისთვის სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების შესაძლებლობების თაობაზე. მან განმარტა, რომ ეს იქნება ჩვეულებრივი რეჟიმის დროსაც. მისი შეფასებით სისტემა თავდაპირველად არ იყო მზად დისტანციური სწავლებისთვის, რადგან სწავლების ეს ფორმატი ნაკლებად იყო გამოყენებული. სამსახურის უფროსის შეფასებით, აღნიშნული სამუშაო ხელს შეუწყობს დაწესებულებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება მთლიანად დისტანციური მოდელით შეუძლებელია განხორციელდეს, თუმცა შერეული მოდელით სწავლება ძალიან კარგი წამოწყებაა, რაც ბევრ რესურსს დაზოგავს და მოქნილი იქნება, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე სისტემისთვის. თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს იმ მოქნილობისთვის, რაზეც ექსპერტებმა ისაუბრეს. განსაკუთრებით კი აღნიშნა პროფესიული სტუდენტებისთვის კომპიუტერების გადაცემის ფაქტი.

კოლეჯის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის და მათი საქმიანობის ამ კუთხით წარმოჩენისთვის. მან აღნიშნა, რომ ორ პროგრამაზე ჰქონდა დაწესებულებას ხსენებულ კომპონენტში მეტწილი შესაბამისობა. დაწესებულების მხრიდან სრულად იქნა რეკომენდაციები გათვალისწინებული და აღჭურვილობები შეძენილი და დამონტაჟებულია. კოლეჯის ხელმძღვანელმა ისაუბრა კომპიუტერების გადაცემის ფაქტზე და აღნიშნა, რომ სწავლის დაწყებამდე ჩატარდა კვლევა პრობლემების გამოვლენის მიზნით და გარემოებები, რომელიც ხელისშემშლელი იყო სწავლის პროცესის განხორციელებაში, აღმოფხვრილ იქნა და კოლეჯმა შეიძინა დამატებითი რესურსები.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ იკითხა, მოხდა თუ არა სხვა პროგრამების ფარგლებში ხსენებული კვლევის განხორციელება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ ყველა პროგრამაზე მოხდა კვლევის ჩატარება და სადაც იყო ჩართულობის პრობლემა, იქ არ დაიწყო სწავლის პროცესი, ხოლო სადაც მოახერხა კოლეჯმა პრობლემის მოგვარება, იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოახდინა სწავლის პროცესის განახლება. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება მუშაობს, რათა ყველა მიმართულებით მოახერხოს სტუდენტთა ჩართულობის ხელის შეწყობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ბლექსიში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ბლექსიში“ (ს/კ: 245610398) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგ, ექსპერტმა ისაუბრა „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ ნანა შათირიშვილთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1067139 04/11/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ - მონიტორინგი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო წინა პროგრამის იდენტური რეკომენდაცია და ამ პროგრამაზეც სრულად იქნა შესრულებული. კერძოდ, „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში ექსპერტებს დაევალათ მატერიალური რესურსების შემოწმება, რომელიც ეხებოდა ინტეგრირებულ მოდულებთან დაკავშირებულ აღჭურვილობას. ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება მოდულური და დუალური მიდგომით. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს მოდულურ პროგრამაზე, ხოლო 10 პროფესიულ სტუდენტს დუალური პროგრამაზე. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ - ფარგლებში მემორანდუმი აქვს გაფორმებული სასტუმრო ჰილტონ ბათუმთან. კოლეჯი მზადაა, რომ სსსმ პირებს ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ რესურსებთან და შესაბამისად ადაპტირდეს რესურსები. ამ პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს 2 სსსმ სტუდენტი, თუმცა ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების საფუძველზე ჯერჯერობით ადაპტირების საჭიროება არ გამოვლენილა. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების ორი სპეციალისტი, სსსმ პირთა ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, რომელებიც აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მათი დასკვნის საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე, ადაპტირდება სასწავლო რესურსები და გარემო, თუმცა ამ მომენტამდე პროგრამის განხორციელების პროცესში ამის საჭიროება არ დამდგარა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ, პარტნიორობის ფარგლებში, ჰილტონმა დაწესებულებაში გაარემონტა და შესაბამისი სასწავლო რესურსებით აღჭურვა ერთი ოთახი.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ ვიზიტზეც იმყოფებოდა დაწესებულებაში და დეტალურად შეისწავლა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. დისტანციური მონიტორინგის დროს, გადამოწმდა მხოლოდ მატერიალური რესურსები, რომელიც ინტეგრირებული მოდულისთვის („მეცნიერება და ტექნოლოგიები“) იყო საჭირო. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი რიგზეა კოლეჯში, დადებითად შეაფასა კოლეჯში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა და უსურვა მათ მეტი შესაძლებლობები სტუდენტებზე ზრუნვისთვის. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ბლექსიში“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ბლექსიში“ (ს/კ: 245610398) „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

„სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგ, ექსპერტმა ისაუბრა „კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ ნანა შათირიშვილთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1067139 04/11/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალიათ სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კონდიტერია“ - მონიტორინგი.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალია მეორე სტანდარტთან შესაბამისობის, კერძოდ, 2.2.1 კომპონენტის - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - შესრულების შემოწმება.

ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ „კონდიტერიის“ პროგრამის ფარგლებში ექსპერტებს დაევალებათ მატერიალური რესურსების შემოწმება, რომელიც ეხებოდა დარგობრივ აღჭურვილობას.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კონდიტერია“ - საჭირო მატერიალური რესურსი არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი. ამ ეტაპზე დისტანციური მონიტორინგის ფარგლებში მოხდა გადამოწმება და დაწესებულებას რეკომენდაცია სრულად აქვს შესრულებული.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა საბჭოს განუმარტა მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე წინა წარმოებაც მონიტორინგი იყო. დაწესებულება დუალურად ახორციელებდა პროგრამას და გადაწყვიტა, მოდულურიც განეხორციელებინა. მონიტორინგის დროს დაწესებულებას შესაბამისი რესურსები სრულად არ ჰქონდა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა განახლებული გარემოს და მატერიალური რესურსების ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს ვმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ როგორ მოხდა აღჭურვილობის შექმნა - დონორების მიერ იქნა შექმნილი თუ დაწესებულებამ თავად შეისყიდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხელშეკრულებები ჰქონდათ მომწოდებლებთან დადებული. გარდა ამისა, კოლეჯს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) გადასცა საჩუქრად კონვექციური ღუმელი. იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებამ პროგრამის განხორციელება დაიწყო მოდულური მიდგომითაც, დაწესებულების ბაზაზე მოაწყო შესაბამისი დანადგარებით აღჭურვილი სასწავლო გარემო და ახალი სახელოსნო.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები სრულადაა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ და სრულად შესაბამისია სტანდარტთან.

საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ გააკეთა კომენტარი და დაწესებულებას მიმართა მაქსიმალურად გაუზიაროს სხვა კოლეჯებს მისი წარმატებული პრაქტიკა.

სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯი საუკეთესო მაგალითია საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პარტნიორებთან ურთიერთობის მიმართულებით. აღნიშნა, რომ ჰილტონი ერთ-ერთი გამორჩეული პარტნიორი ორგანიზაციაა, რომელიც თანამშრომლობს სასწავლებლთან. დამსაქმებელმა თვითონ აღჭურვა კოლეჯში სასწავლო გარემო, რაც ცხადყოფს თანამშრომლობის საიმედოობასა და ურთიერთნდობას. ნანი დალაქიშვილმა კოლეჯს დიდი მადლობა გადაუხადა საქმიანობისთვის, რომ ასე თანმიმდევრულად და პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ დეტალს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსგავსი თანამშრომლობის ჩამოყალიბება მეტწილად კოლეჯზეა დამოკიდებული, მისი თანმიმდევრული საქმიანობით მოახერხა დამსაქმებლის დაინტერესება, დამსაქმებლის მოთხოვნების კარგად გაანალიზებისა და შესაბამისი თანამშრომლობის ჩამოყალიბების საფუძველზე.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ დაამატა და ექსპერტებს მადლობა გადაუხადა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისთვის, რადგან, მისი შეფასებით, ხშირად კრიტიკაში იკარგება კოლეჯების საუკეთესო გამოცდილება და აღნიშნა, რომ სხვა კოლეჯებშიც არსებობს კარგი შედეგები და აქვე დაეთანხმა ბლექსის წარმატებული საქმიანობის შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს, ექსპერტებს და ცენტრს და აღნიშნა, რომ ეს დამატებითი მოტივაციაა დაწესებულებისთვის.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ბლექსიში“ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ბლექსიში“ (ს/კ: 245610398) „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ზაირა ბერიძემ, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ ბარბარე გონაშვილთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1103756 18/11/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საფინანსო სერვისები“ - მონიტორინგი.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა **1 რეკომენდაცია** - დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართ 4-ში ჩამოთვლილი მატერიალური რესურსებიდან ადგილზე ჰქონდა მხოლოდ ნაწილი

აღჭურვილობისა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სრულად მომხდარიყო მობილიზება დაწესებულების ბაზაზე. მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტით დასტურდება რეკომენდაციის შესრულება და კომპონენტი სრულად შესაბამისია სტანდარტთან.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების მიდგომა - არის მოდულური. მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლა დისტანციურად მიმდინარეობს და ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ასევე ისაუბრა პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან. მოდულის - „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“- ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს: შპს „ქება 2010“ ,შპს „მონტესთან“ და შპს „სმაილთან“ . ხოლო საწარმოო პრაქტიკას ანხორციელებს სს „ფინკა ბანკ საქართველოსთან.“ ხელშეკრულების ფარგლებში გაწერილია ურთიერთთანამშრომლობის პირობები. დაწესებულება ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტების შესახებ, ხოლო თავის მხრივ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ სწავლის შედეგებისთვის საჭირო რესურსებთან.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა და აღნიშნა, რომ რეკომენდაცია სრულადაა შესრულებული დაწესებულების მიერ და ის სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დარგის ექსპერტი დაეთანხმა ექსპერტის წარმოდგენილ პოზიციას და დაადასტურა, რომ საჭირო რესურსები მობილიზებულია დაწესებულების ბაზაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტანდარტი სრულად შესაბამისად შეფასდა და გაიცა მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ფინკა ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ერთწლიანია, გადაიხედოს და გახანგრძლივდეს, რათა პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის და საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ განმავითარებელი რეკომენდაცია ამ ეტაპზე უკვე გათვალისწინებულია და ხელშეკრულების ვადა გახანგრძლივდა 2 წლამდე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 218076542) „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

„საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგ, ექსპერტმა ისაუბრა „**კომპიუტერული ქსელი და სისტემების**“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ იაზონ დანელიასთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1103756 18/11/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**კომპიუტერული ქსელი და სისტემები**“ - მონიტორინგი.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა 3 რეკომენდაცია.

რეკომენდაცია 1 - დაწესებულებამ სრულად შეიძინოს სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა დანართი N4-ში გაწერილი პარამეტრების შესაბამისად და წარმოადგინოს ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია 2 - სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს CISCO-ს ქსელური აკადემიის სასწავლო რესურსთან წვდომა და სწავლება მიმდინარეობდეს აღნიშნული რესურსის გამოყენებით, რადგან წარმოდგენილი პროგრამა დაფუძნებულია cisco-ს სასწავლო რესურსსა და კურიკულუმზე.

რეკომენდაცია 3 - სასურველია დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული პროგრამის განხორციელებისთვის სავალდებლო სასწავლო ელექტრონული რესურსი წარმოდგენილი იყოს პროგრამების მიხედვით, რათა პროფესიულ სტუდენტებს გაუადვილდეს მათთვის საჭირო რესურსთან წვდომა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა სამივე რეკომენდაცია.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს საზოგადოება „ბილიკთან“ და შპს „მასტერ პლიუსთან“.

ხელშეკრულების ფარგლებში გაწერილია ურთიერთთანამშრომლობის პირობები. დაწესებულება ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტების შესახებ, ხოლო თავის მხრივ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ სწავლის შედეგებისთვის საჭირო რესურსებთან.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა და აღნიშნა, რომ პროგრამა არის სრულ შესაბამისობაში სტანდარტთან.

დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის პრობლემა არ ფიქსირდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ციური დურულმა მადლობა გადაუხადა ცენტრს, საბჭოს და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა და აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველთვის მზადაა თანამშრომლობისთვის და განვითარებისკენაა ორიენტირებული. მათთვის მნიშვნელოვანია თითოეული რეკომენდაცია. დაწესებულება არ ტოვებს არცერთ დეტალს ყურადღების გარეშე.

გარდა იმისა, რომ დაწესებულება სრულად შესაბამისობაშია სტანდარტთან, მათ ასევე კეთილმოაწყვეს ეზო. ორი სასწავლო კორპუსი მთლიანად დაეთმო პროფესიულ პროგრამებს. ასევე, პროფესიული სტუდენტები მაქსიმალურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში.

სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ გორის უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტია, რომელმაც დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. დაწესებულებამ 2007-2008 წლიდან უმაღლესი პროფესიული პროგრამების დანერგვა დაიწყო. ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს, რომ თანმიმდევრულად მიყვება სისტემაში ყველა განხორციელებულ ცვლილებას.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 218076542) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგ, ექსპერტმა ისაუბრა **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“** საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების შესახებ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1103756 18/11/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ - მონიტორინგი.

დარგის ექსპერტი მანანა მოისწრაფიშვილი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბჭოს მოახსენა მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა 1 რეკომენდაცია - შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაწესებულებაში მობილიზებული იქნეს შესყიდვის ხელშეკრულებით წარმოდგენილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები. მონიტორინგის ფარგლებში დასტურდება, რომ დაწესებულებას რეკომენდაცია სრულად აქვს შესრულებული.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით და მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ასევე ისაუბრა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით, დაწესებულება თანამშრომლობს შპს „მაღხაზ პაიჭაძესთან“ - 5 პროფესიული სტუდენტი; გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან - 10 პროფესიული სტუდენტი და შპს „გეოსთან“ - 5 პროფესიული სტუდენტი.

ხელშეკრულების ფარგლებში გაწერილია ურთიერთთანამშრომლობის პირობები. დაწესებულება ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტების შესახებ, ხოლო თავის მხრივ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ სწავლის შედეგებისთვის საჭირო რესურსებთან და ასევე, გამოყოფილია პირი, ვინც კოორდინაციას გაუწევს პრაქტიკის კომპონენტის შესრულებას.

საბჭოს საკუთარი პოზიცია მოახსენა უმაღლესი განათლების ექსპერტმა ნატო ალავიძემ და აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს არ უშლის აკადემიურ პროგრამების განხორციელებას.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 218076542) „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - კოლეჯი „ფაზისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „სასტუმრო მომსახურება“ და „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნაზო წიბლიაშვილი, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან დავით კუპატაძესთან ერთად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N1105399 18/11/2020) საფუძველზე. მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2. კომპონენტის დაკმაყოფილების პირობები.

მონიტორინგის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინების შემოწმების მიზნით, დაწესებულებამ ექსპერტებს გაუგზავნა მატერიალური რესურსის შეყიდვის დოკუმენტაცია. ასევე, 2.2. კომპონენტის გადამოწმების მიზნით, დამატებით გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია.

ექსპერტები, მონიტორინგის განრიგის დაცვით, გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, დათვალიერეს ბიბლიოთეკა, სასწავლო გარემოები და მატერიალური აღჭურვილობა.

ექსპერტმა პირველად ისაუბრა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი.

წინა ვიზიტის ფარგლებში სტანდარტი 2 - ის 2.2. კომპონენტზე გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ მომხდარიყო შესაბამისი მატერიალური რესურსების მობილიზება დაწესებულების ბაზაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები. დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერდა დოკუმენტით წარმოდგენილი აღჭურვილობა. კოლეჯს სრულადა აქვს შესყიდული საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მემორანდუმებზე, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

მოდულის, „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელებისთვის წარმოდგენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: 1. შპს „მეტალექს-ტრანსი“ და 2. შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“. პირველი ობიექტი მოემსახურება 20 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში, ხოლო მეორე ობიექტი 10 პროფესიულ სტუდენტს.

მონიტორინგის დროს დარგის ექსპერტი დაინტერესდა, როგორ განხორციელდებოდა პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტების დაშვება, ვინაიდან ორივე ობიექტი დახურული დაწესებულებებია. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ორივე ობიექტთან აქვს თანამშრომლობის გამოცდილება, სხვა პროგრამის შესაბამისი მოდულების განხორციელების ფარგლებში. კერძოდ, მოდულის განხორციელებამდე კოლეჯი წერილობით მიმართავს პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, უგზავნის მას პროფესიულ სტუდენტთა სიას, რის შემდეგაც კოლეჯი პრაქტიკის ობიექტებიდან იღებს პროფესიულ სტუდენტთა განაწილების სიას ცვლების გათვალისწინებით და გასცემს სტუდენტებზე საშვებს.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია მასწავლებელთა შესაბამისი რაოდენობით. ბიბლიოთეკაში ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ექსპერტის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი და აქვს შესაბამისი კომპეტენცია. ასევე, დაწესებულებას მზადაა, შშმ და სსსმ პირებისთვის უზრუნველყოს სწავლის პროცესი, ამისთვის ჰყავთ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულად შესაბამისი.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებთან ძალიან კარგი პროფესიული ურთიერთობა აქვს დაწესებულებას, რაც ხელს უწყობს საქმიანობის თანმიმდევრულად განხორციელებას.

მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით კი დაეთანხმა ექსპერტის წარმოდგენილ დასკვნას, რომ წარმოდგენილი მასალებით სრულად დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრს და საბჭოს გაწეული შრომისთვის.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ კოლეჯი „ფაზისში“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ (ს/კ: 215101716) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების გაცნობის შემდეგ, თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო **“სასტუმრო მომსახურების”** საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან ნინო მოწყობილთან ერთად.

დაწესებულებას წინა წარმოების ფარგლებში მიეცა 2 რეკომენდაცია.

რეკომენდაცია 1- შეეხებოდა 2.2.1. კომპონენტის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. კომპონენტზე გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ მომხდარიყო შესაბამისი მატერიალური რესურსების მობილიზება დაწესებულების ბაზაზე. დაწესებულებას ინტეგრირებულ ზოგად მოდულზე „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მატერიალური რესურსი არ ჰქონდა სრულყოფილად წარმოდგენილი, მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები, რითაც დასტურდება დაწესებულების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა.

რეკომენდაცია 2 - შეეხებოდა 2.2.1. კომპონენტის სტანდარტთან შესაბამისობის მოყვანას.

წინა წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ კანდიდატებს, გააზრებული აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების მიზნები, აქვთ გამოცდილება შესაბამისი საგნის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, მზად არიან, კოორდინირებულად იმუშაონ დარგის სპეციალისტებთან ერთად. თუმცა, მათ არ იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა. კერძოდ, მოდულის სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერების მნიშვნელობა, შეფასების პრინციპები. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ მიმართულებით მათ ჩაუტარდეთ ტრენინგი.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგის და შეფასება/ შერჩევის დოკუმენტაცია. პროფესიულ მასწავლებლებთან დისტანციურად გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდათ ტრენინგები. მათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სამ ეტაპად გაიარეს ტრენინგები მეთოდოლოგიისა და შეფასების მიმართულებით და გაცნობიერებული აქვთ მოდულის განხორციელების სპეციფიკა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პრინციპები, ასევე მოდულის სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერების მნიშვნელობა. გარდა ამისა, დაწესებულება მათთვის ახორციელებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, საჭიროების შემთხვევაში.

„სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა მატერიალური რესურსისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო, გადამოწმებულიყო ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული პირების კვალიფიკაცია და მათ მიერ წარმართული სამუშაო პროცესი.

დოკუმენტაციის გადამოწმებისას და დისტანციური ჩართვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღნიშნულ საკითხს. დარგის ექსპერტის მიერ მათი ინტერვიუებისას აქცენტი გაკეთდა განვლილი მოდულების განხორციელების სპეციფიკასა და პროცესზე. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მუდმივი კონტაქტი აქვს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებთან, რომლებიც სწავლების პროცესში სისტემატიურად ცდილობენ პროფესიულ სტუდენტებს მასალა მიაწოდონ ისე, რომ კავშირში იყოს საგანმანათლებლო პროგრამასთან.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის პრაქტიკის ობიექტის თანამშრომელი, რომელიც იცნობს სწავლების სპეციფიკას.

ექსპერტმა შეაჯამა, რომ შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2. კომპონენტი ექსპერტმა მიერ შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა დაადასტურა ექსპერტის შეფასება, რომ დაწესებულებას სრულად აქვს შესრულებული რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სტანდარტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრს და საბჭოს.

მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე პირველად დაიწყო ინტეგრირებული სწავლება და მისი შეფასებით წარმატებით მიმდინარეობს. პროგრამა არის მოთხოვნადი, განსაკუთრებით ახლა, როცა მასში საშუალო საფეხურის მოდულებია ინტეგრირებული. მისი შეფასებით, ჯერჯერობით სწავლის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს დაწესებულებაში.

ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ ეს კოლეჯიც არის ერთ-ერთი საუკეთესო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების მქონე კოლეჯი. შეაფასა კოლეჯის საქმიანობა და აღნიშნა, რომ დაწესებულება თანმიმდევრულად ავითარებს ინფრასტრუქტურას, პროგრამებს და დიდი მადლობა გადაუხადა კოლეჯს გაწეული საქმისთვის.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ (ს/კ: 215101716) „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:30 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

